ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ტრანსპორტის განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0120069386**
თარიღი: **09/03/2020**
პინი: **8454**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის უფროსს,

ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2020 წლის 27 თებერვლის N 17-012005886-16 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, მინდელის ქუჩა N11-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.05.005.122) მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის (AR1736549) შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ:

ტრანსპორტის განვითარების სააგენტომ შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფაქტობრივი მდგომარეობისა და წარმოდგენილი კვლევის გათვალისწინების საფუძველზე, გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

დღეისათვის, საპროექტო ტერიტორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე შეგვიძლია დამაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ. ობიექტის საპროგნოზო მგზავრობები არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობაზე. ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორიის საზ. ტრანსპორტით მომსახურების დონის გაუმჯობესება მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

კვლევის მიხედვით ირკვევა, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე საქვეითე ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია (მიმდებარე ტერიტორიის უმეტეს ნაწილს ტროტუარი გააჩნია).

საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, მიმდებარე კვანძებზე, ზოგიერთ მიმართულებაზე შეინიშნება მცირე დატვირთულობა, თუმცა დაგეგმილი არქიტექტურული პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

შესაბამისად, ტრანსპორტის განვითარების სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის აღნიშნული არქიტექტურული პროექტის (AR1736549) შეთანხმების წინააღმდეგი.

პატივისცემით

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი